ასევე უნდა ითქვას 973 კორპუსისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე. კროროსის მოადგილე მ. ნახაპეტოვი. მან საპუსი თითქმის მზად არის და ბუნებრივ გაზს ელოდება. „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოს უბანმა (უფროსი ა. მელიქიანი) უნდა დაიჩაროს არცდუ დიდი რაოდენობით დარჩენილი სამუშაოები და უზრუნველყოს კორპუსი ბუნებრივი გაზით.

ამონიუმის ბისულფიტის ჯგუფის კორპუსებზე ამჟამად ყველაზე გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ამიაკისა და ბუნებრივი გაზის მიწოდება. 973-ა კორპუსზე ამიაკის მიწოდების სამუშაოებს აწარმოებს თვით დამკვეთი ორგანიზაცია — აზოტოვანი სასუქების ქარხანა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქარხანას შეეძლო აღნიშნული სამუშაო რამდენიმე ხნით ადრე დაემთავრებინა და ეს რომ ასე მომხდარიყო, ახლა 973-ა კორპუსი უკვე გადაცემული იქნებოდა საექსპლოატაციოდ.

ასევე უნდა ითქვას 973 კორპუსისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე. კროროსის მოადგილე მ. ნახაპეტოვი. მან საპუსი თითქმის მზად არის და ბუნებრივ გაზს ელოდება. „ენერგოჩერმეტის“ სამმართველოს უბანმა (უფროსი ა. მელიქიანი) უნდა დაიჩაროს არცდუ დიდი რაოდენობით დარჩენილი სამუშაოები და უზრუნველყოს კორპუსი ბუნებრივი გაზით.

ახალგაზრდოგას გზა ავაჭკაცეგს

ДАМТАВРДА АХАЛГАЗРДА ЖВОРАЛСТА ДЕМОТХЕ СРУЛЕАД САКАВШИРО ТАТБИРИ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 10 მაისი. (**საკადისის კორ.**). ყველა დღე ახალგაზრდა მწერალთა სრულიად საკავშირო თათბირისა, რომელიც დღეს დამთავრდა, მებრძოლური, ცხარე იყო. მეგობრობის, სიხარულისა და გაბედულის ჰაერი უწოდა თათბირის ატმოსფეროს დონელმა მუშა პოეტმა ბ. კულიკოვმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პაველოვმა.

ყველა ჩვენგანი, თქვა მან, განიცდის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა შეხვედრებისა და საუბრების უდიდეს შთაბეჭდილებას. ამ შეხვედრებმა ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ახალგაზრდობაში, რომელმაც მოიწონა პარტიული კრიტიკა და დაგმო ყოველგვარი მცდარი ტენდენცია ლიტერატურასა და ხელოვნებაში. აქ შეკრებილან ჩვენი დიდი ლიტერატურული დიდოსტატ ღირსეული წარმომადგენლები. აქ არიან ისინი, ვინც თავის შემოქმედებას სამშობლოს საკეთილდღეო შრომას უკავშირებს. დღეს ჩვენ სიამაყით ვამბობთ, რომ მესამე თათბირის შემდეგ ლიტერატურაში მოვიდა ჭეშმარიტად ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთა და პოეტთა დიდი კოჰორტა.

ორატორმა დაგმო ზოგიერთი ახალგაზრდა ლიტერატორის პოზიორობა და თავმომწონეობა. მან თქვა, რომ დიდებით დაბრმავებულმა, ცხოვრებას მოწყვეტილმა ამ ლიტერატორებმა, რომლებმაც თავი გენიოსებად წარმოიდგინეს, საბაბი მისცეს ჩვენს იდეურ მტრებს გაებიაბრუებინათ სოციალისტური სინამდვილე, ჩვენი ახალგაზრდობის საგმირო საქმეები.

ამ ბრ

სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა ო. ვ. პენკოვსკისა და გ. მ. ვინის საქმეზე

სახელმწიფო ბრალმდებელმა იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა ა. გ. გორინმ, რომელიც 10 მაისს გამოვიდა პროცესზე, დაახასიათა იმ სისხლის სამართლის საქმის თავისებურებანი, რომლითაც სსრ კავშირის მოქალაქეს პენკოვსკის და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომს ვინს ბრალად ედებათ ჯაშუშური საქმიანობა ინგლისისა და ამერიკის დაზვერვების სასარგებლოდ.

ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ ფარული ომი ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც იმპერიალისტურმა დაზვერვებმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პირველივე დღეებში დაიწყეს, არასოდეს არ შეწყვეტილა, პირიქით, იგი ძლიერდება, ფართოვდება და ახლა ზოგიერთმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე აიყვანა. იმპერიალისტური დაზვერვები თავიანთ ძირითად ღონისძიებებს წარმართავენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ჯაშუშობის მოსაწყობად. მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აყურადებს საბჭოთა კავშირის შესანიშნავი მიღწევახი მეცნიერების, სამხედრო ტექნიკის დარგში.

მთელი რიგი იმპერიალისტური სახელმწიფოები ზოგიერთი დიპლომატიური წარმომადგენელი, თქვა ამხ. ა. გ. გორინმ, მოურიდებლად ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და აქტიურ დაზვერვითს ჯაშუშურ საქმიანობას ეწევა. ამ ბინძურ საქმეში აბამენ სხვადასხვა დელეგაციის წევრებს, მეცნიერებს, კომერსანტებს, სტუდენტებს, ტურისტებს. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობს ერთა შორის ნდობის განმტკიცებას, მათი თანამშრომლობის განვითარებას.

სახელმწიფო ბრალმდებელმა დაწვრილებით გააშუქა საქმის გარემოებანი, თითოეული ბრალდებულის დანაშაულებრივი საქმიანობა, რაც წინასწარმა და სასამართლო ძიებამ დაადგინა, და თქვა: ბრალდებული პენკოვსკი, რომელსაც მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უცხოთის განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა, ავანტიურისტი, კარიერისტი და მორალურად გახრწნილი ადამიანი იყო. იგი სამშობლოს გამცემისა და მოღალატის გზას დაადგა და იმპერიალისტურმა დაზვერვებმა გადაიბირეს. მათთან კავშირი პენკოვსკიმ დაამყარა დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომის, ინგლისი კომერსანტის გრევილ ვინის საშუალებით, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა სსრ კავშირში.

პენკოვსკი აქტიურად იყენებდა ჯაშუშური მიზნებისათვის სხვადასხვა არხს. თავისი „პარტნიორებისაგან“, რომლებმაც დაიქირავეს პენკოვსკი, მან მიიღო დავალება შეეგროვებინა ჯაშუშური ცნობები სხვადასხვა საკითხზე, ამასთან ისინი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ საბჭოური ხასიათის ცნობებისადმი.

პენკოვსკის აღუთქვეს, რომ უზრუნველყოფენ პასუხისაგები თანამდებობის ინგლისის ან ამერიკის სამხედრო უწყებაში 2000 დოლარი ხელფასით, ერთდროულად გადაუხდიან გასამრჯელოს უცხოთის დაზვერვებთან კავშირის დამყარების მომენტიდან თვეში 1000 დოლარის ანგარიშით.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ყურადღება გაამახვილა ერთ თავისებურებაზე, რომელიც შუქს ფენს ამერიკისა და ინგლისის დაზვერვების ურთიერთობის ფარულ მხარეს: პარიზში ამერიკელმა მზვერავებმა იმგლისელი პარტნიორებისაგან ფარულად მოაწყეს პენკოვსკისთან პაემანი, რომელზეც მას „ოქროს კოშკებს“ პპირდებოდნენ, როგორც კი ამერიკის კონტინენტზე დაადგამდა ფეხს. პენკოვსკი ასრულებდა თავისი „პატრონების“ მითითებებს და მოსკოვის სხვადასხვა რაიონში არჩევდა ადგილებს სათადარიგო სამალავებისათვის. ერთ-ერთი ასეთი ადგილი იყო პოტ სერგეი ესენინის ხაფლავი ვაგანკოვოს სასაფლაოზე. შეგროვილი ჯაშუშური ინფორმაცია პენკოვსკიმ უცხოთის დაზვერვებს ვინის საშუალებით გადასცა 1961 წლის მაისში, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში, როცა მას მოსკოვში, ლონდონსა და პარიზში შეხვდა. ასეთ ინფორმაციას პენკოვსკი გზავნიდა აგრეთვე ინგლისელი დიპლომატის ცოლის ანა ჩიზჰოლმისა და ამერიკის მოსკოვის საელჩოს ატაშეს როდნეი კარლსონის საშუალებით.

ბრალდებელმა დამსწრეთ მოაგონა იმ მოხსენების სტილი, რომელიც პენკოვსკიმ თავისი „პატრონებისათვის“ მოამზადა. იგი ელაქუცება და ფეხქვეშ ეგება მათ, მაგრამ „ძვირფასი მეგობრების“ მზრუნველობამ ვერ უშველა და საბჭოთა ჩეკისტებმა ბოლო მოუღეს მთელ ამ ზუსტად მოფიქრებულ დ გულმოდგინედ შემუშავებულ ჯაშუშურ ოპერაციას.

იმის ასახსნელად, თუ როგორ მოხდა, რომ პენკოვსკიმ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიბადა, აღიზარდა და განათლება მიიღო, სრულიად დაკარგა საბჭოთა ადამიანის სახე, და იქამდე მივიდა, რომ უმძიმესი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, სახელმწიფო ბრალმდებელმა მოიყვანა ფაქტები და დაამტკიცა. რომ პენკოვსკის დაცემა შემთხვევითი როდია. პენკოვსკის განსაკუთრებული ეგოიზმი, თავკერძობა, პატივმოყვარეობა უკვე დიდი ხანია გამოვლინდა. რაც უფრო უვითარდებოდა სახიზღარი და ქვეყნა მიდრეკილებანი, მით უფრო იზიდავდა პირადი კარიერა და კეთილდღეობა. ამ კარიერისტსა და ეგოისტს, რომელიც თანდათან სულ უფრო დაცინდა, არაფერი წმინდა და ძვირფასი არ გააჩნდა არც ოჯახში, არც საზოგადოებაში, არც სახელმწიფოში. იგი თანდათან მომწიფდა გამცემლობისათვის და ისოა დარჩა, რომ დაექირავებინათ და დაიქირავეს კიდეც, თქვა ამხ. ა. გ. გორინმ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთი გადაგვარებულები და ნაძირალები, რომლებიც მთელი საბჭოთა ხალხის გულისწყრომასა და ზიზღს იწვევენ, არარეალურია ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ ეს მაგალითი მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რა საშიშროებას შეიცავს წარსულის გადმონაშთები, რომლებსაც აღვივებენ ჩვენთვის უცხო იდეოლოგიით, თუ რა ხასიათი შეიძლება მიიღოს მათ, დროზე რომ არ შევნიშნოთ და გადაკრით არ აღკვეთოთ.

ამხ. ა. გ. გორინმ ილაპარაკა ვინის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გარემოებებზე და თქვა, რომ ვინმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოდიოდა როგორც ინგლისის საქმიანი წრეების წარმომადგენელი, ბოროტად გამოიყენა საბჭოთა ხალხის სტუმართმოყვარეობა და კონსპირაციული კავშირი გაუბა პენკოვსკისთან საკითხებზე, რომლებიც ისეა დამორებული ბიზნესს, როგორც ცა დედამიწას.

1961 წლის მაისში ვინი ლონდონში რამდენჯერმე შეხვდა ინგლისის მზვერავებს, ხოლო შემდეგ ინგლისის დაზვერვის რუსეთის სექციის უფროსსაც. მან შეასრულა ამ პირების დავალება, რომ ინგლისის მოსკოვის საელჩოს თანამშრომლებისაგან პაკეტები გადაეცა პენკოვსკისათვის და პირიქით.

1961 წლის აგვისტოში ვინმა კვლავ შეასრულა დამაკავშირებლის როლი და ჯაშუშური მასალები გადასცა პენკოვსკისაგან ჩიზჰოლმს, ხოლო ჩიზჰოლმისაგან პენკოვსკის გადასცა ინსტრუქციები და ჯაშუშური საჭურველი. იმ მდგომარეობის გამო, რომელიც ვინს ეკავა როგორც ინგლისის საქმიანი წრეების წარმომადგენელს, იგი ფრიად შესაფერისი ფიგურა იყო ასეთი დავალებების განსახორციელებლად. მოსკოვში მის ყოველ ახალ ჩამოსვლაზე ოფიციალურ საქმიან მხარეს სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ეთმეტებოდა, ხოლო კონსპირაციულ, ჯაშუშურ ფუნქციებს — სულ უფრო მეტი. როგორც ვინმა აღიარა, მოსკოვში ფრანგულ გამოფენაზე მისი გამგზავრება არ იყო გამოწვეული საქმიანი მოსაზრებებით და განხორციელდა დაზვერვის პირდაპირი დავალებით.

შემდეგ, ინგლისში ყოფნის დროს, ვინი ხშირად ხვდებოდა ინგლისის მზვერავებს, დავალებებს იღებდა მათგან. კერძოდ, ვინი გაიცნეს ინგლისის მოსკოვის საელჩოს მომავალ მერე მდივანს ჰერვეის კაუელს, რომელსაც ამ პოსტზე ჩიზჰოლმი უნდა შეეცვალა და ამავე დროს ეკისრა ჯაშუშური კავშირის დამყარება პენკოვსკისთან ვინისა და თავისი მეუღლის პომელის მეშვეობით.

ეს გარემოებანი, რომლებიც დადასტურდა სასამართლო გამოძიების პროცესში, თქვა ამხ. ა. გ. გორინმ, სავსებით ცხადყოფს, რომ ვინი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშური საქმიანობის აქტიური მონაწილე, მთავარი დამაკავშირებელი ერთი მხრივ პენკოვსკისა და მეორე მხრივ ინგლისისა და ამერიკის დაზვერვებს შორის.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ცხადყო, რომ სავსებით უსუსურია ვინის მტკიცება, თითქოს დიდხანს არ სცოდნოდეს თუ ნამდვილად რა ხასიათი ჰქონდა დაზვერვებთან პენკოვსკის კავშირს. ვინისა და პენკოვსკის პირველი საიდუმლო საუბრის შინაარსი, მთელი ხასიათი ვინის შეხვედრებისა ინგლისელ მზვერავებთან, ინგლისელ დიპლომატებთან მოსკოვში, თვით პენკოვსკისთან მოსკოვში, ლონდონსა და პარიზში, დაწვრილებით დამუშავებული კონსპირაციული ზომები, ჯაშუშური მასალების პაკეტების გადაცემის ვითარება — ყოველივე ეს სავსებით ცხადყოფდა, რომ საქმე ეხებოდა არალეგალურ დაზვერვითს კავშირს.

შემდეგ სახელმწიფო ბრალმდებელმა ხაზგასმით აღნიშნა: სასამართლომ დიდი ყურადღება დაუთმო ამ საქმის მტკიცებითს მხარეს, მოისმინა ბრალდებულთა დაწვრილებითი განმარტებანი, ექსპერტთა დასკვნა, მოწმეთა ჩვენება, გამოიკვლია ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, გამოაქვეყნა საგამომძიებლო ექსპერიმენტების მთელი რიგი დოკუმენტები და ოქმები. პენკოვსკის დანაშაულს წაასწრეს და მას აღარ ჰქონდა სხვა გამოსავალი გარდა აღიარებისა. დანაშაული აღიარა აგრეთვე ვინმაც, რადგან იგი ამხილეს.

ამხ. ა. გ. გორინმ ხაზი გაუსვა, რომ ბრალდებულთა აღიარებანი, კანონის მოთხოვნის თანახმად, დადასტურდა სხვა დამამტკიცებელი საბუთების ერთობლიობით და თქვა: ყველა საფუძველი გვაქვს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საქმეში არსებული მრავალი და უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი ქმნის მხილებათა მტკიცე რკალს, რომლებიც ნიღაბს ხდიან არა მარტო ბრალდებულებს, არამედ იმათაც, ვინც ზურგს უკან ედგა მათ, ვინც ხელმძღვანელობდა და წარმართავდა მათს დანაშაულებრივ საქმიანობას.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ხაზი გაუსვა: სასამართლო პროცესის დროს დადგენილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ჯაშუშობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი ამერიკელი და იმგლისელი დიპლომატები სსრ კავშირში აკრედიტებულნი. პენკოვსკისა და ვინის ჯაშუშურ საქმიანობაში, ასე თუ ისე, გარეული არიან ინგლისელები, ოდერიკ ჩიჰჰოლმი და მისი ცოლი ანა ჩიზჰოლმი, ჰერვეის კაუელი და მისი ცოლი პომელა კაუელი, ავიორ რაუსელი, ჯონ ვარლეი და ფელისიტა სტიუარტი, ამერიკელები როდნეი კარლსონი, რიჩარდ ჯეკობი, ვილიამს ჯონსნი, პიუ მონტგომერი და ალექსეს დეკისონი. მათი ნაწილი უკვე გაეშგზავრა სსრ კავშირიდან, სხვები ჯერ ისევ აქ არიან. რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო ბრალმდებელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა გამოიტანოს კერძო განჩინება იმის აღნიშვნით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხსენებული დიპლომატიური თანამშრომლების საქმიანობა სსრ კავშირში უკანონოა და არ შეესაბამება უცხოეთის დიპლომატების ქცევის ნორმებს.

ამხ. ა. გ. გორინმ აღნიშნა, რომ პენკოვსკისა და ვინის საქმესთან დაკავშირებით დასავლეთში ახმაურდნენ თითქოს მოსკოვში გაჩაღდა ანტიამერიკული და ანტიინგლისური „ჯაშუშომანიის“ კამპანია და თქვა: საბჭოთა კავშირში არავინ აღევნებს „ჯაშუშომანიას“, არავინ თავსავს ეშვს. მაგრამ სხვის ბინებში შეჭვრეტის მოყვარულთ, სხვის საიდუმლოებათა გამორჩევეის მოყვარულთ არ დაზოგავთ.

დასასრულ, სახელმწიფო ბრალმდებელმა დაასაბუთა ბრალდებელის ბრალი ინკრიმინირებულ დანაშაულთა იურიდიული კვალიფიკაცია და აზრი გამოთქვა სასჯელის ზომის შესახებ.

მან თქვა, რომ პენკოვსკის წაყენებული აქვს ბრალდება რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 64 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის — სამშობლოს ღალატისათვის, ე. ი. სსრ კავშირის მოქალაქის მიერ ჩადენილი წინასწარ განზრახული მოქმედებისათვის სახელმწიფოს საგარეო უშიშროების საზიანოდ. ეს მოქმედება ჩაიდინა პენკოვსკიმ ჯაშუშობის სახით იმპერიალისტურ დაზვერვათა სასარგებლოდ.

ვინის მოქმედება კვალიფიცირებულ უნდა იქნეს რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65 მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას უცხოელის, ან იმ პირის მიერ ჩადენილი ჯაშუშობისათვის, რომელსაც არა აქვს მოქალაქეობა. ვინმა ძმიმე დანაშაული ჩაიდინა სსრ კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ სახელმწიფო ბრალმდებელმა აზრი გამოთქვა, რომ დანაშაულის სიმძიმის მიხედვით არ არის აუცილებელი მის მიმართ გამოყენებულ იქნეს 65 მუხლის მაქსიმალური სანქცია — სიკვდილით დასჯა — და სასამართლოს სთხოვა მისი სასჯელი განსაზღვრონ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.

ამხ. ა. გ. გორინმ განაცხადა: ძნელია გამოინახოს პენკოვსკის მიერ ჩადენილი ქმედობის სიბილწისა და სიმძიმის საზომი. არის დანაშაულობანი, რომელთა გამოსყიდვა აღარაფრით შეიძლება. გამცემი და ჯაშუში, რომელმაც გაჰყიდა თავის სამშობლო, არ უნდა დადიოდეს დედამიწაზე და მე მოვთხოვ მოესაჯოს პენკოვსკის სიკვდილი.

ჯაშუშური საქმიანობის მამხილებელი ნივთიერი მტკიცებანი, რომლებიც დაპატიმრებისას აღმოაჩნდა ო. პენკოვსკის.

ფოტო ვ. სმეტანინისა.

სასამართლო პროცესი

ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა აგენტის სსრ კავშირის მოქალაქის ო. ვ. პენკოვსკისა და ბრიტანეთის ქვეშევრდომის, დამაკავშირებელი ჯაშუშის გ. მ. ვინის სისხლის სამართლის საქმის გამო

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 11 მაისის სხდომა

11 მაისს მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო სხდომათა დარბაზში გრძელდებოდა სასამართლო პროცესი ინგლისისა და ამერიკის დაზვერვათა აგენტის სსრ კავშირის მოქალაქის ო. ვ. პენკოვსკისა და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომის, დამაკავშირებელი ჯაშუშის გრევილ ვინის სისხლის სამართლის საქმის გამო.

საღამოს ღია სხდომაზე თავმჯდომარემ იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ვ. ბორისოგლებლინმ გამოაქვეყნა განაჩენი. სასამართლომ პენკოვსკი დამნაშავედ ცნო სამშობლოს ღალატში და რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე მიუსაჯა სიკვდილი — დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია და ჩამოერთვა სამხედრო წოდება „თადარიგის პოლკოვნიკი“.

ბრალდებულ ვინს, რომელიც ცნობილია დამნაშავედ ჯაშუშობაში, რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და პირველი სამი წლის მოხდა საპყრობილეში, დაპატიმრების დროს ჩამორთმეულ ფასეულობათა და ქონების კონფისკაცია.

განაჩენის საკასაციო გასაჩივრება არ შეიძლება.

სასამართლომ გამოიტანა აგრეთვე კერძო განჩინება, რომელშიც აღნიშნა, რომ ინგლისის საელჩოს თანამშრომლები ა. რაუსელი, გ. კაუელი, მისი ცოლი ა. ჩიზჰოლმი, დ. ვარლეი, ფ. სტიუარტი და ამერიკის საელჩოს თანამშრომლები — ა. ჯეკობსონი, ხ. მონტგომერი, რ. კარლსონი, რ. ჯეკობი, ი. ჯონსნი, რომლებიც დიპლომატთა ოფიციალური მდგომარეობით სარგებლობდნენ, ხელს უწყობდნენ ბრალდებულებს ჯაშუშობაში და ეწეოდნენ საბჭოთა კავშირისადმი მტრულ საქმიანობას, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მუშაკების სტატუსს.

სასამართლოს დარბაზში მყოფი მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები დიდი მოწონებით შეხვდნენ განაჩენსა და კერძო განჩინებას.

განაჩენისა და კერძო განჩინების გამოქვეყნების შემდეგ თავმჯდომარემ სასამართლო სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯაშუშები — საბრალდებულო სკამზე

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ჯაშუშების პენკოვსკისა და ვინის სასამართლო პროცესი. ბრალდებულთა დაკითხვის დროს გამოირკვა პენკოვსკისა და მისი დამაკავშირებლის ვინის ჯაშუშური საქმიანობის სულ ახალი უცილობელი ფაქტები.

დღეს დილის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაკითხა მოწმენი. პროცესის ჯერ კიდევ პირველ დღეს პენკოვსკი, რომელიც ცდილობდა აეხსნა თავისი გადაგვარების მიზეზები, ეცადა დაეხატა საკუთარი პორტრეტი. ამ პორტრეტს მხოლოდ ზიზღი შეეძლო გამოეწვია. პენკოვსკის სრულ სულიერ გამოფიტულობაზე ლაპარაკობდეს მოწმენიც. ეს არიან ადამიანები, რომლებიც საკმაოდ ახლოს იცნობდნენ პენკოვსკის და პერიოდულად ხვდებოდნენ მას რესტორნებში, კაფეებსა და სხვა გასართობ ადგილებში.

მერე და რაზე საუბრობდნენ ისინი პენკოვსკისთან, რითი ერთობოდნენ მის საზოგადოებაში? მათი სიტყვით, პენკოვსკი „მაღალი ინტელექტუალური დონის ადამიანი არ იყო, არ აინტერესებდა ლიტერატურა და მუსიკა“. ასე მოგეჩვენებოდა, ამბობს მოწმე რუდოვსკი, თითქოს მთელი მისი ინტერესები გასტრონომიით არმოიწურებოდა — კარგად ესადილა, გადაეკრა, ესაუბნა. „კარგად იყო შემწყვარი ხორცი, სისხლიანად...“ — ასეთი იყო პენკოვსკის შთაბეჭდილება საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის სილამაზეზე.

სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება პროცესის მონაწილეებისათვის პენკოვსკის მორალური დაცემის სიღრმე. ასახელებენ რამდენიმე ქალს, რომლებთანაც ნაცნობობა ჰქონდა ამ ნაძირალას, რომელიც ატყუებდა თავის ოჯახს. პენკოვსკის შეხვედრები მეგობრებთან რესტორნებში თავაწყვეტილ ღრეობაში გადადიოდა. აი რას მოგვითხრობს ერთ-ერთი ქეიფის შესახებ მოწმე ფინკელშტეინი:

ბევრი უკვე მთვრალი იყო. ვიღაცას დაებადა აზრი ქალის ფეხსაცმლიდან დაელიათ ღვინო. პენკოვსკიმ თავისი საყვარლის ფეხსაცმელში ჩასხა ღვინო და დალია.

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ: ეს ფეხსაცმელი ფეხიდან გახადა?

ᲤᲘᲜᲙᲔᲚᲨᲢᲔᲘᲜᲘ: დიახ. საჭიროა რამდენმე სიტყვა ითქვას პენკოვსკის ეგრეთ წოდებულ მეგობრებზე. მათ არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ საქმე აქვთ ადამიანთან, რომელსაც არაფერი წმინდა არ გააჩნია, მორალურად გახრწნილ, სულიერად გამოფიტულ ადამიანთან. პენკოვსკის მეგობრებმა იცოდნენ რომ მას ჰყავს ოჯახი, ბავშვები, რომ იგი ატყუებს ოჯახს და ისინი მაინც განაგრძობდნენ მასთან დროსტარებას და თავიანთ გასტრონომიულ და სხვა მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ. ასეთია იმათი უპრინციპობა და ამორალობა, ვინც პენკოვსკის მხოლოდ იმისთვის ხვდებოდა, რომ, როგორც თვით ბრალდებულმა გამოთქვა, „დაესვენა ყველა პრობლემისაგან“, „რაც შეიძლება უკეთ გაეტარებინა დრო“.

პენკოვსკი მაინც და მაინც დიდ პატივს არ სცემდა ამ მეგობრებს. იგი მათ უანლოდ ადგებოდა მაშინ, როცა თავაზიანი დროსტარებისათვის სჭირდებოდნენ, და ასევე უყოყმანოდ ტოვებდა მათ, როდესაც აღარ სჭირდებოდნენ. მოწმე რუდოვსკის სიტყვით, „პენკოვსკის მასთან დაანლოება იმით აიხსნება, რომ რუდოვსკის ავტომანქანა ჰყავდა, რომლითაც ხშირად სარგებლობდა პენკოვსკი. 1962 წლის ზაფხულში ამ მანქანით ჩამოიყვანეს ვინი შერემეტიევოდან სასტუმრო „უკრაინაში“. პენკოვსკიმ თავის მეგობარს სთხოვა შერემეტიევოდან ჩამოეყვანა ერთი საჭირო კაცი (ეს კაცი ვინი იყო), „ეს ჩვენი მეგობარია, — თქვა პენკოვსკიმ, ჩამოვიყვანოთ“.

სასამართლომ მოისმინა მოწმე ა. ნ. კაზანცევის წერილობითი ჩვენება, რომელიც ავადმყოფობის გამო არ დაესწრო სასამართლოს. მისი ჩვენებიდან ჩანს, რომ 1961 წლის აპრილში საბჭოთა სპეციალისტების დელეგაციის ინგლისში ყოფნის დროს, რომელსაც ბრალდებული მეთაურობდა, პენკოვსკი როგორც წესი სალამობით დელეგაციის წევრებთან არ იყო ხოლმე. ამ ჩვენებას ადასტურებს თვით პენკოვსკიც. თავმჯდომარის შეკითხვაზე მან აღიარა: „დიახ, მე ოთხ საღამოს არ ვიყავი. შეხვედრა მქონდა მზვერავებთან“.

დღეევანდელ სხდომაზე სასამართლოს წინაშე გამოვიდნენ ექსპერტები.

ექსპერტმა კრიმინალისტმა ნ. ი. ტუროვმა უპასუხა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის შეკითხვაზე და განაცხადა, რომ სხვა მოქალაქის სახელზე, გაფორმებული პასპორტის ბლანკი, რომელშიც პენკოვსკის ფოტოსურათი იყო ჩაკერული, ფიქციურია. ბეჭდებისა და შტამპების ანაბეჭდები ფიქციურ პასპორტში მიღებულია ყალბი ბეჭდებითა და შტამპებით.

ექსპერტ ქიმიკოსის ლ. ფ. კუზნეცოვას ამოცანა იყო ქიმიური ექსპერტიზა გაეკეთებინა სუფთა თეთრი ქაღალდის ორი ფურცლისათვის, რომლებიც პენკოვსკის ბინაში სამალავიდან ამოიღეს და გამოერკვია, შესაძლებელია თუ არა ამ ქაღალდის საიდუმლო დამწერობისათვის გამოყენება. ამხ. კუზნეცოვამ სასამართლოს აცნობა, რომ ქაღალდის სუფთა ფურცლები დაფარულია სპეციალური ქიმიური შედგენილობით და საიდუმლო დამწერობის პირის გადასაღები ქაღალდია.

ექსპერტმა ლ. გ. ზაკურდაევმა დაადასტურა, რომ მისთვის გადაცემული პენკოვსკის სამი ფოტოალბომი წესრიგშია, აგრეთვე ის, რომ დამუშავებულ ფოტოფირებზე არის ნეგატივური გამოსახულებანი.

რადიოსპეციალისტის ა. პ. ნაუმოვის ექსპერტიზის ამოცანა იყო შეემოწმებინა ბრალდებულისათვის ჩამორთმეული რადიომიმღებები „სონია“ და „ზენიტი“, აგრეთვე შიფრების ბლოკნოტი. ექსპერტმა განაცხადა, რომ რადიომიმღებები სრულ წესრიგშია და მიმღებ „სონიას“ გრძნობიერება სრულიად საკმარისია სადაზვერვო რადიოცენტრიდან სიგნალების მისაღებად.

პენკოვსკის შიფრების ბლოკნოტები, რომლებშიც ჩაწერილი იყო ხუთციფრიანი ბანები (ჯგუფები), საჭირო იყო დაშიფრული დეპეშების ტექსტის ამოსაშიფრად და დასაშიფრად.

პენკოვსკიმ თქვა, რომ საგამომძიებლო ექსპერიმენტების დროს დაშიფრულ რადიოგრამას იღებდა ამერიკის რადიოცენტრიდან მიმღებ „სონიათი“.

სხდომის თავმჯდომარე — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტი ვ. ვ. ბორისოგლებლინი სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის საღამოს სხდომაზე დაიწყო მხარეთა კამათი.

პირველი გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი, მთავარი სახელმწიფო პროკურორი იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტი ა. გ. გორინი. მან მოითხოვა, რომ ო. ვ. პენკოვსკის მიესაჯოს სიკვდილი, ხოლო ინგლისის ქვეშევრდომს გ. მ. ვინს — 10 წლის პატიმრობა.

სახელმწიფო ბრალმდებლის უკანასკნელ სიტყვებს დარბაზში მსწრაფნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო პენკოვსკის დამცველმა ადვოკატმა კ. ნ. აპრაკსინმა.

— საყოველთაო აღშფოთებისა და გულისწყრომის ვითარებაში, რაც ბრალდებულ პენკოვსკის ჯაშუშურმა საქმიანობამ, სამშობლოს ღალატმა გამოიწვიეს, განსაკუთრებით რთულია შევასრულო ჩემს წინაშე დასახული ამოცანა — დავიცვა იგი, — თქვა ადვოკატმა. — მაგრამ ამ რთულ საქმეში მეხმარება ჩვენი ჰუმანური კანონმდებლობა, რომელიც დაცვით უზრუნველყოფს საბრალდებელო საქმეს ბოლომდე ყოველ ადამიანს, საქმის მასალების, ობიექტურობა და ყოველმხრივი გამოძიება, აგრეთვე სამართლიანი განთავისუფლება ყოველგვარი, თუნდაც უმნიშვნელო გარემოებისა, რაც ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად.

შემდეგ ადვოკატმა ილაპარაკა მიზეზებზე, უფრო ზუსტად მოტივებზე, რომლებმაც პენკოვსკი საბრალდებელ სკამზე დასვეს. დანაშაულის მოტივების სწორი განსაზღვრა, თქვა ადვოკატმა, საშუალებას მაძლევს გავითვალისწინო, რომ პენკოვსკიმ გულწრფელად მოინანია და აღიარა დანაშაული. დავსვა საკითხი, რომ მისთვის განაჩენის გამოტანის დროს ლმობიერება გამოიჩინონ.

ადვოკატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმატების მისაღწევად ყოველგვარი საშუალების გამოყენების ჩვეულება ბრალდებულის დამახასიათებელ თვისებათ იქცა. წვრილმანი, არაპრინციპული წყენის შედეგად, რაც პენკოვსკის მისმა უშუალო ხელმძღვანელებმა მიაყენეს, რომლებიც, პენკოვსკის აზრით, ხელს უშლიდნენ მის სამსახურებრივ კარიერას, —კარიერა კი პენკოვსკისთვის ყველაფერი იყო, — მან დაიგიწყა სამშობლოს ინტერესები და უღალატა მას.

პასუხისგებაში მიცემის შემდეგ პენკოვსკიმ შეიგნო თავისი შეცდომები, შეიგნო იმ დანაშაულის სიმძიმე, რომელიც ჩაიდინა, და გულწრფელი მონანიებით, აგრეთვე იმით, რომ აღიარა დანაშაული აქტიურად დაეხმარა საგამომძიებლო ორგანოებს ზოგიერთი გარემოების დადგენაში. სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაიჭირეს პენკოვსკის და გამოავლინეს ჯაშუშები, რომლებსაც ამერიკისა და ინგლისის საელჩოების დიპლომატების პასპორტები ჰქონდათ.

დამცველმა კ. ნ. აპრაკსინმა სასამართლოს სთხოვა სიცოცხლე შეუნარჩუნოს პენკოვსკის.

სიტყვა ამბობს ვინის დამცველი ადვოკატი კ. ბოროვიკი. გრეგილ ვინმა, თქვა მან, საპყრობილეში და სასამართლოში ყოფნის ძმიმე დროის განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა, ბევრ რამეს ჩაუფიქრდა და სასამართლოზე სწორად შეაფასა თავისი საქციელი, თავისი დანაშაული: უკანასკნელ ხანს მე ზშირად ვხვდებოდი ვინს, ვესაუბრებოდი, ვსაუბლობდი მას და დავრწმუნდი, რომ ვინი ნამდვილად ინანებს ყველაფერს, რაც ჩაიდინა და სასამართლოსა და გამოძიების დროს მიცემული თავისი სწორი ჩვენებით სურს დაეხმაროს მართლმსაჯულებას და ამით რამდენადმე გამოისყიდოს თავისი დანაშაული.

დამცველმა ხაზგასმით აღნიშნა, ვერ ვიტყვით, თითქოს ვინი ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი იყო პენკოვსკისა და უცხოელთა დაზვერვებს შორის. მე წარმომიდგენია, განაცხადა ადვოკატმა, საბრალდებულო სკამზე ამ საქმის ყველა მონაწილეს რომ დაეკავებინა შესაფერი ადგილი, პენკოვსკისა და ვინის გვერდით რომ ყოფილიყვნენ აკრიდი, კინგი და მათი შეფი, მათთან ერთად გრილე, მაილი, ალექსანდრი და ოსლაფი, ეს ადგილი რომ გაეზიარებინთ ცოლ-ქმარ ჩიზჰოლმების „ღირსეულ“ წყვილსა და სხვებს, მაშინ, ამხანაგო მოსამართლეებო, ჩემი დასაცავი პირი ვინი შორს უკანა რიგებში გადაინაცვლებდა.

ადვოკატი კ. ნ. ბოროვიკი მოსამართლეებს სთხოვს შეწყნარებით მოეკიდონ ვინს და სასჯელის გაცილებით ნაკლები ზომა შეუფარდონ, ვიდრე სახელმწიფო ბრალდების წარმომადგენელმა მოითხოვა.

ბრალდებულთა დაკითხვამ, მოწმეთა ჩვენებებმა, ექსპერტიზის მასალებმა, სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვამ მკაფიოდ წარმოსახეს პენკოვსკისა და ვინის დანაშაულის სურათი.

მორალურად მახინჯის, გამცემი პენკოვსკისა და მისი დამაკავშირებლის ვინის სახე, რომელიც დაზვერვის დავალებებს კომერციის უხამებდა, მთელი თავისი სიზიზღარი დეტალებით წარმოსდგა პროცესის მსვლელობის მანძილზე.

ჯაშუშების სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. მართლმსაჯულება ღირსეულად მიუზღავს პენკოვსკის — ადამიანს, რომელმაც უღალატა სამშობლოსა და სახელმწიფოს ინტერესებს, და მის თანამზრახველს უცხოეთის დაზვერვებთან ურთიერთობაში, ვინს. სასამართლომ დაადგინა ჭ

მოსკოვი ტაშს უკრავს

ვახტანგ ჭაბუკიანის დიდი წარმატება

თითქმის უკვე მეოთხედი საუკუნეა საბჭოთა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას ამშვენებს ბრწყინვალე საბალეტო სპექტაკლი ა. ქრეინის „ლაურენსია“. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვახტანგ ჭაბუკიანმა „ლაურენსიაში“ პირველად განახორციელა 1939 წელს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ეს იყო გმირული პათოსით გამსჭვალული წარმოდგენა. მაყურებელს იტაცებდა და დღესაც იტაცებს ლაურენსიას ამაყი ხასიათი და უშიშრობა, ფრონდოსოს სიმამაცე. მენგოს კეთილშობილური სიბრძნე, პასკუალას მხიარულება. სპექტაკლი უმღეროდა და უმღერის ხალხის ქედუხრელობას და გმირულ სულს. ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი დიმიტრი კაბალევსკი

მაშინ გაზეთ „პრავდაში“ წერდა: „ჭაბუკიანის უშრეტი ფანტაზია ეროველ სცენაში იგრძნობა. მან თითქოს შეაღლო თავისი ცეცხლოვანი ტემპერამენტი სპექტაკლის ყველა მონაწილისათვის გადაეცა. სწორედ ამ ტემპერამენტითა და მგზნებარეობით არის გამსჭვალული „ლაურენსია“ თავიდან ბოლოამდე“.

1948 წელს ვახტანგ ჭაბუკიანმა „ლაურენსია“ დადგა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ეს სპექტაკლი დღემდე უცვლელი წარმატებით იდგმება. როგორც ლენინგრადში, ისე თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანი იყო არა მარტო დამდგმელი სპექტაკლისა, არამედ ფრონდოსოს მბრწყინვალე სამალეტო სახის შემქმნელიც.

ამ რამდენიმე წლის წინათ ვახტანგ ჭაბუკიანი საბჭოთა კავშირის დიდ თეატრში მიიწვიეს „ლაურენსიას“ დასადგმელად (1957 წ.). სპექტაკლი დიდი თეატრის სცენაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ თეატრის შემოქმედებითს ისტორიაში.

8 მაისს მოსკოვში, დიდი თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა „ლაურენსიას“ განახლებული დადგმა ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით. ამასთან ბალეტმეისტერმა ფრონდოსოს როლი შეასრულა. ლაურენსიას როლში გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი გალინა ულანოვას აღზრდილი ნინო თბილოფე